თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7785873

ნომერი: AR11125743

თარიღი : 22.01.2026

გაცემის თარიღი : 28.01.2026

გაცნობის თარიღი : 28.01.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გივი ჟვანიას ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია გოთუა პ/ნ 01017005676
- ლუბლიანას 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 სექტემბრის №7624654 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 22 იანვარს №AR11125743 განცხადებით მომართა მაია გოთუამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 12

სექტემბრის №7624654 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 სექტემბრის №7624654 ბრძანებით, №01.13.01.008.068 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა პოლიკლინიკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 12 სექტემბრის №7624654 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან აუზის 42.5 კვ.მ. ფართობის ამოღება. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში განაშენიანების ფართობად 4502.7 კვ.მ-ის ნაცვლად 4533.0 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 1326.1 კვ.მ-ის ნაცვლად 1325.2 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1046.5 კვ.მ-ის ნაცვლად 1039.2 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 88.7 კვ.მ-ის ნაცვლად 104.9 კვ.მ-ის, საორდინატორო და საოპერაციოს ფართობად 717.2 კვ.მ-ის ნაცვლად 717.3 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 3931.7 კვ.მ-ის ნაცვლად 3897.3 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, არასწორი დაჯამების გამო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 სექტემბრის №7624654 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 სექტემბრის №7624654 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნეს აუზის 42.5 კვ.მ. ფართობი. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში განაშენიანების ფართობად დაფიქსირდეს 4533.0 კვ.მ., საოფისე ფართობად - 1325.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1039.2 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 104.9 კვ.მ., საორდინატორო და საოპერაციოს ფართობად - 717.3 კვ.მ., საერთო ფართობად - 3897.3 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 სექტემბრის №7624654 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2025 წლის 12 სექტემბრის №7624654 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.